1. **პროგრამის სახელწოდება:** რუსული ფილოლოგია
   პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ მოდულს:
   1. რუსული ენა
   2. რუსული ლიტერატურა

2. **პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი ნატალია ბასილაია

3. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი (რუსული ენა და ლიტერატურა) MA in Philology (Russian Language and Literature)

4. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
   - ჰუმანიტარული მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ფილოლოგიის დარგში.
   - პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
   - მაგისტრატურაში ჩამბარებელს არ მოეთხოვება არავითარი დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამეცნიერო კონფერენციებში და ექსპედიციებში მონაწილეობის ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების შესახებ. ასეთი წინაპირობები მხოლოდ სასურველია და არა სავალდებულო. ამგვარი გამოცდილების მქონე პიროვნებას უპირატესობა პროგრამაზე ჩაბარებისას მიენიჭება მხოლოდ სხვა ერთნაირ პირობებში.
   - სამუშაო გამოცდილების ქონა არ არის სავალდებულო.

5. **სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

პროგრამის მიზნები: სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც საწყისი საბაკალავრო განათლება ფილოლოგიურ დარგებში აქვთ მიღებული და სურთ გააღრმავონ თავიანთი ცოდნა რუსული ენის, დიალექტებისა და სფეროში. იგი მიზნად ისახავს მოამზადოს აღნიშნული ენების კვალიფიციური სპეციალისტები, კერძოდ, მაგისტრანტებს საფუძვლიანად შეასწავლოს თანამედროვე რუსული ენისა და მისი დიალექტების ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები, რუსული ენის ისტორია და რუსული ენის ფუნქციონირებაზე სხვა ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების, კერძოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორების გავლენა ისტორიულად და დღეს; მისცეს რუსული ენის პრაქტიკული ცოდნა; მაგისტრანტს გააცნოს მხატვრული და სამეცნიერო ტექსტების ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის სხვადასხვა მიდგომა ინტერპრეტაციის ხერხებს; პრობლემები, რომლებიც აქტუალურია გრამატიკის ფუნქციური კვლევებისათვის; გააცნოს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეცნიერული თეორიები, ისტორიულ-შედარებითი და დესკრიპციული ანალიზის პრინციპები, ენის დამუშავების კომპიუტერული მეთოდები; ასწავლოს დიალექტების აღწერის პრინციპები და ასეთ ტექსტებზე მუშაობის უნარი; განუვითაროს ანალიტიკური

აზროვნება, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა და მეცნიერული კვლევის უნარი. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს რუსულის მონათესავე (სლავური) და არამონათესავე (ქართული და სხვა) ენების შედარება-შეპირისპირებითი მეთოდების სწავლებას; ფართო სპეციალობის სლავისტი ფილოლოგების მომზადებას და ამ სფეროს სპეციალისტთა ინტეგრაციას საერთაშორისო ლინგვისტურ სივრცეში.

შედეგები:

- მოდულის დასრულების შედეგად მიღებული კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს ყოველმხრივ შეისწავლოს და გამოიყენოს რუსული ენის და დიალექტების ტექსტები და სალექსიკონო მასალები.
- მაგისტრანტს სიღრმისეული ცოდნა ექნება ენისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართებაზე, მათ ერთიანობასა და მრავალფეროვნებაზე;
- კურსდამთავრებულს საფუძვლიანად ეცოდინება რუსული ენის და დიალექტების ენობრივი თავისებურებანი, შეძლებს მათ ლინგვისტურ ანალიზს, ტექსტის ენობრივად გამართვას, რუსული ენისა თუ დიალექტის შესახებ ლინგვისტური გამოკვლევის დაწერას. შესაძლებლობა ექნება პრაქტიკულად დაეუფლოს სლავურ ენებს.
- წარმატებით გამოიყენებს მიღებული ცოდნასა და უნარ-ჩვევებს სხვადასხვა დარგისა (მასმედია, სოციოლოგია, ფსიქოლოგია) და ინტერკულტურული კომუნიკაციის ფილოლოგიური უზრუნველყოფისათვის.
- მაგისტრანტს გამომუშავებული ექნება ორატორული ხელოვნებისა და პოლემიკის წარმოების უნარ-ჩვევები;
- მაგისტრი შეძლებს ახალი მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას დამოუკიდებელი კვლევისას; სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ეცოდინება ენობრივი ტექსტის კომპიუტერული დამუშავებისათვის აუცილებელი პროგრამები, შეძლებს შეადგონოს მონაცენთა ბაზა ინდექსებითა და საძიებლებით; შეძლებს ბიბლიოგრაფიის მომზადებას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

დასაქმების სფეროები:

- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტები;
- ჰუმანიტარული პროფილის ბიბლიოთეკები;
- საქართველოს არქივები;
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმები;
- საგამომცემლო ორგანიზაციები.

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში იმავე ან მომიჯნავე სპეციალობით.